სსიპ-იაკობ გოგებაშვილის **სახელობის თელავის სახელმწიფო**

უნივერსიტეტი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
სადისერტაციო საბჭოს დებულება

შემუშავებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა (ოქმი № 09, 01.06.2017) და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი № 27, 21.07.2017)
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 19 25.07.2017 წ.

ცვლილებები განხილულია აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა (ოქმი № 01, 26.06.2021) და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი № N12 12.08.2021)
აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი პროფესორი: /მანანა კევლიშვილი/

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №14, 09.09.2021
უნივერსიტეტის რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: / ირმა შიოშვილი/

ცვლილებები განხილულია აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა (ოქმი № 1, 03.11.2023; № 1, 10.01.2024) და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი № 06, 11.2023; № 1, 11.01.2024)
ფაკულტეტის დეკანი
ასოცირებული პროფესორი: /ლევან შავაძე/

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 25, 16.11.2023, № 2, 26.01.2024
უნივერსიტეტის რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი: / შალვა ჭკადუა/

თელავი 2024

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სადისერტაციო საბჭოს მისია, დოქტორანტურის მიზნები,

1.1 სადისერტაციო საბჭო იქმნება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) არსებულ აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტებზე, როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი და სადოქტორო სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების მაკოორდინერებელი ორგანო.

1.2 დოქტორანტურა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურია, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომლის ძირითადი მიზნებია მეცნიერთა ახალი თაობის მომზადება, დოქტორანტთა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში, უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარება, გაფართოება და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. 3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას (ფაკულტეტზე არსებული მეცნიერების შესაბამის მიმართულებაში (დარგში/სპეციალობაში) ახორციელებს უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. 4. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიურ ხარისხი მეცნიერების შესაბამის მიმართულებაში.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა

2.1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე, დეკანს წარუდგენს მოთხოვნას სადოქტორო პროგრამის მიხედვით ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ;

2.2 ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობის პროექტს დასამტკიცებლად წარადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დეკანი თესაუ-ს უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ოქმს და სამსახურებრივ ბარათს ვაკანტური ადგილების გამოყოფისა და სადოქტორო პროგრამაზე დროებითი საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების თხოვნით უცხო ენის გამოცდისა და სპეციალობაში გასაუბრების მიზნით.

2.3 სპეციალობაში გასაუბრების მიზნით დროებითი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის 3-5 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. დროებით კომისიას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

2.4 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველთა განცხადებების შემოტანის და მათი ჩარიცხვის ვადებს, დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2.5 სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის და სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სურსათის გადამუშავების, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით.

2.6 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველმა განცხადება და შესაბამისი საბუთები უნდა წარადგინოს აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანატში:

- განცხადება თესაუ-ს რექტორის სახელზე ფაკულტეტისა სადოქტორო პროგრამის მითითებით
- მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV) ;
- სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი/კვალიფიკაციის

დამადასტურებელი შესაბამისი ცნობა და მათი ასლები;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;
- 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);
- მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულებისათვის) და მისი ასლი (სავალდებულოა ვაჟებისათვის).

2.7 საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურაში სწავლის მსურველი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ;

2.8 განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში – სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აღნიშნული მასალების დედნები და მათი ასლები.

2.9 სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის მიერ ხდება საბუთების პირველადი შემოწმება. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ასლები კი რჩება პირად საქმეში;

2.10 დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის სადოქტორო პროგრამაში მითითებული წინაპირობის შესრულება. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B2 დონე) ან უცხოური ენის (ინგლისური ენა B2 დონე) ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობა. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ შესაბამისი უცხო ენოვანი პროგრამა), გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

2.11 გამოცდას უცხოურ ენაში ატარებს თესაუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია განსაზღვრულ ვადაში. უცხოურ ენაში გამოცდაზე მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა (მაქსიმალური ქულა-100 (აქედან კითხვა-25 ქ.; მოსმენა-25 ქ., წერა-25 ქ., საუბარი-25 ქ.) მინიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 51 ქულას (აქედან კითხვა-14 ქ; მოსმენა-12 ქ, წერა-14 ქ, საუბარი-11 ქ) ;

2.12 საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ატარებს საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომას, რომელზეც განიხილება დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა განცხადებები, მოეწყობა მათთან გასაუბრება და მიიღება

გადაწყვეტილება დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციების მიცემის ან უარის შესახებ, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში;

2.13 საფვაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ კანდიდატზე უნდა მიეთითოს:

ა) სადოქტორო პროგრამის დასახელება;

ბ) გვარი, სახელი, პირადი ნომერი;

გ) დაბადების თარიღი;

დ) განათლება;

ე) მოკლე ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;

ვ) უცხოური ენის ცოდნის (ინგლისური ენა B2 დონე) დამადასტურებელი
დოკუმენტის არსებობა ან უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B2 დონე) გამოცდის შედეგები;

ზ) გადაწყვეტილება კანდიდატის დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ.

2.14 საფვაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმს (ოქმებს) ხელს აწერენ საფვაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და წევრები;

2.15 საფვაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები), საფვაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოხსენებით ბარათთან ერთად (რაც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველს), წარედგინება ფვაკულტეტის საბჭოს.

2.16 სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა მოხდება თესაუ-ს რექტორის ბრძანებით, ფვაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2.17 დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა უნდა გაიაროს აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდა) რეგისტრაცია.

მუხლი 2. სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცება

2.1. პირველი სემესტრის დასაწყისში დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურებს და თემატიკას. საბჭოს გადაწყვეტილებას თავმჯდომარე წარუდგენს ფვაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. ფვაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა თესაუ-ს რექტორის ბრძანება დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ (სამსახურებრივი ბარათი სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად), ფვაკულტეტის დეკანს უნდა წარუდგინოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურები. ბრძანება გამოიცემა თესაუ-ს რექტორის მიერ, ფვაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყოს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი დარგის თესაუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ან უნივერსიტეტის

მიერ დადგენილი წესით მოწვეული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გაფორმდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციასთან. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მოცემულ დარგში სამეცნიერო კვლევის გამოცდილება. დოქტორანტს უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოსთან შეთანხმებით, აირჩიოს ხელმძღვანელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდანაც, თუ ამ დაწესებულებასა და უსდ-ს შორის არის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

2.3. სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენენ დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას;

2.4. სადისერტაციო საბჭო, ხელმძღვანელის დამტკიცებიდან პირველი სემესტრის დასრულებამდე დეპარტამენტის რეკომენდაციით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ. ეს გადაწყვეტილება (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათი) წარდგენილ იქნება ფაკულტეტის საბჭოზე. ბრძანება გამოიცემა თესაუ-ს რექტორის მიერ, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2.5. ერთ ხელმძღვანელს დასაშვებია ჰყავდეს მაქსიმუმ სამი აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე დოქტორნატი. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული სტუდენტი აღიდგენს სტატუსს, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა დაწყებული აქვს კონკრეტულ ხელმძღვანელთან დასაშვებია ამ ხელმძღვანელს ჰყავდეს მაქსიმუმ ხუთი დოქტორანტი.

მუხლი 3. დოქტორანტის ხელმძღვანელის შეცვლა/დამატება და სადისერტაციო თემის შეცვლა/დასახელების კორექტირება, დოქტორანტის სტატუსის შეჩერება/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი

3.1 ყოველი სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა, (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) დოქტორანტს აქვს უფლება, განცხადებით მიმართოს რექტორს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების შესახებ (გარდა დამამთავრებელი სემესტრისა). სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც;

3.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის/დამატების შესახებ საკითხს გაიტანს სადისერტაციო საბჭოზე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე მოხსენებით ბარათს საბჭოს ოქმთან ერთად წარადგენს ფაკულტეტის საბჭოზე. ბრძანება გამოიცემა თესაუ-ს რექტორის მიერ, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

3.3 დოქტორანტის და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით და დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, როგორც წესი, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემა ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. დამამთავრებელ სემესტრში

სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირება დასაშვებია დისერტაციის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარდგენამდე საკვლევი საკითხის შეცვლის გარეშე;

3.4. დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოთხოვნით, სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის ან დასახელების კორექტირების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო (სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, საბჭოს ოქმთან ერთად) ბრძანება გამოიცემა თესაუ-ს რექტორის მიერ, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

3.5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, სათანადო სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის შეუსრულებლობისას დოქტორანტს აქვს უფლება გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა ერთი ან ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით. ამისათვის მან მითითებული პროგრამის ვადის დასრულებისას, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და, შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, არსებული წესის თანახმად გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება;

3.6. დოქტორანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამა ვერ დაასრულა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებით სემესტრში სტატუსის გაგრძელების შესახებ განცხადებით არ მიმართა რექტორს, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;

3.7. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს.

3.8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციები

3.8.1 დოქტორანტის მიერ შერჩეული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი იღებს გადაწყვეტილებას და წერილობით ადასტურებს, რომ თანახმაა იყოს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3.8.2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციები:

ა) დოქტორანტს ეხმარება თემის შერჩევასა და ინდივიდუალურ კვლევითი გეგმის შემუშავებაში;

ბ) დოქტორანტთან უზრუნველყოფს რეგულარულ შეხვედრა კონსულტაციებს როგორც პირისპირ, ისე ონლაინ რეჟიმში;

გ) ორგანიზებას უწევს კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრულ შესრულებას;

დ) დოქტორანტს ეხმარება სამეცნიერო ლიტერატურისა/სამეცნიერო ბაზების მოძიებაში;

ე) დოქტორანტს ეხმარება სამეცნიერო ჟურნალების/გამოცემების მოძიებასა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობა

პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობებია :

4.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი, ხოლო თანახელმძღვანელი – შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პროფესორი.
4.2. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
4.3. პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამის სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით შეიმუშავებს პროგრამას უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით.
4.4. პროგრამის ხელმძღვანელი, სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე, პროგრამის თვითშეფასების და/ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების და გაანალიზების მიზნით ატარებს კვლევას. ამ მიზნით იგი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილ კვლევის ჯგუფთან ერთად:

- გამოავლენს საჭიროებებს, რის გამოც ტარდება შრომის ბაზრის კვლევა.
- გამოკვეთს კვლევის ზოგად მიზნებსა და ამოცანებს.
- აყალიბებს კვლევის თემატიკას, კითხვარს, კვლევის მეთოდოლოგიას დამსაქმებლებისა და მონაწილე პერსონალისათვის.
- შეარჩევს სამიზნე ჯგუფებს.
- წარმართავს და კოორდინაციას უწევს კვლევას, კვლევის შედეგების დამუშავებას და დასკვნების ჩამოყალიბებას.

4.5 პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის მუდმივად განვითარებას, განახლებას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ახალი ლიტერატურით და საგანმანათლებლო/კვლევითი რესურსით გამდიდრება;
- კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა/არსებული პერსონალის კვალიფიკაციის განვითარება;
- ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება;
- ადგილობრივი და საერთშორისო პრაქტიკის გაზიარება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- სწავლა-სწავლებისა და კვლევითი კომპონენტების პერმანენტული დახვეწა/სრულყოფა პროგრამის საჭიროებების და/ან ცვალებადი საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.
- დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის რიგი ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;
- შიდა და გარე შეფასება: სტუდენტების, პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების შედეგების, გარე ექსპერტისა და უცხოელი კონსულტანტების რეკომენდაციების ასახვა პროგრამებში;
- ზრუნავს სტუდენტების კონსულტირებაზე;
- ჩართულია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

4.6 სემინარების დაცვის კომისიებში, წინასწარი დაცვის პროცესში მონაწილეობა;
4.7 სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ წინადადებების მომზადება და განხილვაში მონაწილეობა;
4.8 მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების და არჩეული პროგრამის თავსებადობის დადგენაში მონაწილეობა;
4.9 პროგრამის განხორციელების სისტემატური მონიტორინგი და ანალიზი;

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლა

5.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი;

5.2 სასწავლო კომპონენტი - არაუმეტეს 60 კრედიტი (არაუმეტეს ერთი სასწავლო წელი)

5.3. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით.

5.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავება, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირება და განვითარება.

5.5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: http://tesau.edu.ge

5.6. სემინარის შეფასება ხორციელდება დეპარტამენტში საჯაროდ დაცვის წესით; კომისია 3-5 წევრის შემადგენლობით მტკიცდება თესაუ-ში რექტორის ბრძანებით, (სასურველია ესწრებოდეს თემის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დარგის მინიმუმ ერთი წევრი) ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სემინარის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (CD დისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში;

5.7. კვლევითი კომპონენტის მიზანი, ელემენტები და შეფასების წესი:

5.7.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავება, კონკრეტული სამეცნიერო ამოცანის/ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა, დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამოვლენა, სადისერტაციო თემის აქტუალურობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, კვლევის ხარისხი, სამეცნიერო კვლევის შედეგების მდგრადობა და სანდოობა. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი

შეაქვს დარგის განვითარებაში და უნდა ქმნიდეს ახალი ცოდნის მიღების საშუალებას, სრულად უნდა პასუხობდეს დარგის უახლეს გამოწვევებს.

5.7.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტია - დისერტაციის დასრულება და დაცვა.

5.7.3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასრულებამდე დოქტორანტმა დეპარტამენტში უნდა წარმოადგინოს კოლოკვიუმი -1 და კოლოკვიუმი -2. კოლოკვიუმები ასახავს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, კრედიტი არ ენიჭება და ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობაა დაცვაზე დასაშვებად. კოლოქვიუმების მოსმენა განხორციელდება კომისიური წესით; კომისია 3-5 კაცის შემადგენლობით მტკიცდება თესაუ-ში რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

5.7.4. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა) ფასდება ერთჯერადად, როდესაც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

5.7.5. დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე დადგენილ ვადაში გააკეთა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), სადისერტაციო საბჭოში წარადგინა საჭირო დოკუმენტაცია 6.2.4; 6.2.5), ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დასკვნას, სადაც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი რეკომენდაცია სადისერტაციო საბჭოზე წარსადგენად დისერტაციის დასაცვად

5.7.6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) –შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება(81-90 ქულა);

გ) კარგი (cum laude) –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);

დ) საშუალო (bene) –საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) –შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) –არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო (41-50 ქულა);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-41 ქულა).

5.8. თეორიული-ექსპერიმენტული კვლევა

სწავლების მეორე სემესტრიდან, დოქტორანტი იწყებს თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას. კვლევის ფარგლებში დოქტორანტს ევალება დამოუკიდებლად არანაკლებ სამი პუბლიკაციის მომზადება და გამოქვეყნება, მათ შორის ერთ-ერთი აუცილებლად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში (Scopus / Tomphson / Erih Plus შენიშვნა: აღნიშნულ ბაზებში გამოქვეყნება სავალდებულოა დოქტორანტებისთვის, რომლებიც წარადგენენ დისერტაციას 2024-2025 სასწავლო წლიდან) სტატიები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამ პერიოდში დოქტორანტმა ასევე, მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთ სამეცნიერო კონფერენციაში (პირადად გააკეთოს მოხსენება). დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ ჟურნალის შესაბამისი ტომი (ნომერი) უკვე დაბეჭდილია ან ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 6. დისერტაციის დასრულება და დაცვა (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა)

6.1 სადისერტაციო ნაშრომის გაფორმება:

6.1.1 დისერტაცია ქართულ ენაზე უნდა გაფორმდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიერ დადგენილი ფორმისა და მოთხოვნების დაცვით;

6.1.2 თუ დოქტორანტი ჩართულია სამეცნიერო–კვლევით ჯგუფში, მაშინ დისერტაციაში უნდა გამოიკვეთოს მისი წილი შესრულებულ სამუშაოში;

6.1.3 დისერტაციის სატიტულო ფურცელი უნდა გაფორმდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად. (დანართი 1);

6.1.4 სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა უნდა შეადგენდეს პროგრამით დადგენილი ნორმის ფარგლებში (130 – 180 გვერდი) დანართისა და ციტირებული ლიტერატურის გარეშე (დანართის მოცულობა არ იზღუდება), ფურცლის ზომა – A4, შრიფტის სახეობა - Sylfaen, ინგლისური ტექსტი უნდა შესრულდეს იგივე Sylfaen შრიფტით. შრიფტის ზომა - 12, თავებისა და ქვეთავების დასახელების შრიფტის ზომა შესაბამისად უნდა იყოს 16 და 14 სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; გვერდის საზღვრები: ზემოდან და ქვემოდან - 2,5 სმ; მარცხნიდან - 3 სმ; მარჯვნიდან - 1,5 სმ.

6.1.5 დისერტაციის ყოველი თავი უნდა დაიწყოს ახალი ფურცლიდან, ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.

6.1.6 გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა დაინომროს თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით.

6.1.7 ნაშრომს უნდა ახლდეს წყაროებისა და გამოყენებული ლიტერატურის სია. ლიტერატურის დანომვრა უმჯობესია ანბანის მიხედვით ან გამოყენების თანამიმდევრობის შესაბამისად;

6.1.8 დისერტაციას დასაწყისში უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (ანოტაციის მოცულობა არ ჩაითვლება დისერტაციის გვერდების რაოდენობაში);

6.1.9 დისერტაციის ბეჭდური ვერსია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

6.1.10 დაცვის შემდეგ, აუცილებელია დისერტაციის ელექტრონული ვერსიის განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

6.2 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

6.2.1 დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომლის ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, რომელმაც სრულად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, არა აქვს ფინანსური დავალიანება, წარმოდგენილი აქვს ორივე კოლოქვიუმი მიმდინარე კვლევითი მუშაობის შესახებ შესაბამისი კომისიის წინაშე, წაიკითხა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), რომელზეც მიზანშეწონილია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა.

6.2.2 დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. დოქტორანტს მოხსენებისათვის გამოეყოფა მაქსიმუმ 30 წყთი და კითხვა-პასუხისთვისაც გამოეყოფა 30 წუთი. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად, ჩანაწერი კომპაქტდისკზე ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

6.2.3 დასრულებული დისერტაცია გადაეცემა საბჭოს განსახილველად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი თვით ადრე;

6.2.4 დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს მდივანს უნდა წარუდგინოს:

ა) განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ;

ბ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);

გ) სადოქტორო პროგრამის ავტორეფერატის 20-30 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);

დ) ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) მიერ დოქტორანტის დახასიათება დოქტორანტურაში სწავლისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი საქმიანი თვისებების შესახებ;

ე) დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები, მათ შორის სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება), გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ფაკულტეტის ბეჭდით;

ვ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი;

ზ) ბიოგრაფიული ცნობები (CV);

თ) ცნობა პლაგიატის არ არსებობის შესახებ.

6.2.5 დეკანატი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას ინფორმაცია დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი); შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების

ასლები; ყველა კომპონენტის დაცვის აუდიო ვიდეო ჩანაწერები, აგრეთვე ინფორმაცია დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ და ანტიპლაგიატზე შემოწმების შედეგი.

6.3 დისერტაციის დაცვის თარიღისა და ოფიციალური რეცენზენტების დანიშვნა

6.3.1 დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მდივანი ერთი კვირის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას, ავტორეფერატის და დისერტაციის გაფორმების შესაბამისობას მოთხოვნებთან და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში გადასცემს სადისერტაციო საბჭოს განსახილველად;
6.3.2 სადისერტაციო საბჭო ქმნის დარგის შესაბამისად ორწევრიან კომისიას (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვევა), რომელიც გაეცნობა დისერტაციას და 10 დღეში ამზადებს დასკვნას დისერტაციის შემდგომი მსვლელობის შესახებ
ა) სადოქტო პროგრამასთან დისერტაციის შესაბამისობის შესახებ;
6.3.3 ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული დასკვნის საფუძველზე, საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით, სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. დოქტორანტის დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია შეინახება საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას;
6.3 4. დოქტორანტის დაცვაზე დაშვების უარის საფუძველი შეიძლება იყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა, აგრეთვე:

ა) დოკუმენტების არასრულყოფილება;

ბ) დოკუმენტების გაყალბება.

6.3.5 დადებითი გადაწყვეტილებისას ინიშნება დისერტაციის დაცვის თარიღი დამტკიცდება სამი ოფიციალური რეცენზენტი საიდანაც ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს უცხოელი; ოფიციალური რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დარგში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. ოფიციალური რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი, დოქტორანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი; დაუშვებელია, რომ სამივე ოფიციალური რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, ნათესავი, სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი პირი.

6.3.6 სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები და ასევე, მოიწვიოს დოქტორანტი სხდომაზე საჭირო განმარტების მიცემის მიზნით;

6.3.7 დისერტაციის დაცვამდე 2 კვირით ადრე ოფიციალურმა რეცენზენტმა წერილობითი დასკვნა ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს საბჭოში და დააბრუნოს დისერტაციის ეგზემპლარი;

6.3.8 ოფიციალური რეცენზენტების დასკვნაში უნდა აისახოს: სადისერტაციო თემის აქტუალურობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, სამეცნიერო კვლევის შედეგები და სანდოობა, გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს ოფიციალური რეცენზენტის შეფასება –აკმაყოფილებს თუ არა

დისერტაცია წაყენებულ მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

6.3.9 დისერტაციის დაცვამდე ერთი კვირით ადრე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო თემის დასახელება, დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, ოფიციალური რეცენზენტები, დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს მდივანი (უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თვალსაჩინო ადგილზე განცხადების განთავსებით და სხვა საშუალებებით);

6.3.10 ოფიციალურ რეცენზენტთა დასკვნების თითო ეგზემპლარი გადაეცემა დოქტორანტს დაცვამდე სულ ცოტა ათი დღით ადრე;

6.3.11 დოქტორანტს უფლება აქვს ოფიციალური რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის ჩატარება. ასევე, მას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი დაცვამდე ნებისმიერ ეტაპზე. ამ შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება მომდევნო სემესტრში.

6.3.12 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით უნდა გადასცეს დეკანატს სტუდენტის პირად საქმეში შესატანად.

6.4 ავტორეფერატი

6.4.1 ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს (დანართები 2.1; 2.2). ავტორეფერატში მოცემული უნდა იყოს: საკვლევი თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; მითითებული უნდა იყოს დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა; გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით; აგრეთვე, რეკომენდაციები და ზოგადი დასკვნები.

6.4.2 ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის მიერ გამოქვეყნებული იმ ნაშრომების და კვლევების ჩამონათვალი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია დისერტაციის თემატიკასთან და ასახულია სადისერტაციო ნაშრომში.

6.4.3 ავტორეფერატში უნდა იყოს ინფორმაცია ნაშრომის სხვადასხვა დონეზე წარდგინების (კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე და სხვ.) შესახებ.

6.4.4 ავტორეფერატი უნდა შესრულდეს დადგენილი ფორმის მიხედვით (დანართი 2).

მუხლი 7 . სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

7.1დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვება ხდება რეცენზენტთა წინასწარი დასკვნების საფუძველზე.

7.2 დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის დაცვა მოხდება სადისერტაციო საბჭოზე, რომელიც შედგება თესაუ-ს აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე.

7.3 დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი ოფიციალური რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა. ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი ოფიციალური რეცენზენტი, დაცვა არ შედგება.

7.4 თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა დისერტაციის დაცვაზე, საბჭოს კვორუმი არ შედგა, ან სხდომას ესწრება დისერტაციის თემის შესაბამისი დარგის/სპეციალობის წევრთა 2/3 -ზე ნაკლები, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზის გამო, საბჭოს მიერ დაცვა დაინიშნება უახლოეს მისაღებ დროს;

7.5 საბჭოს სხდომას ხსნის თავმჯდომარე. იგი ადასტურებს კვორუმის არსებობას და დამსწრეთ აცნობს სხდომის დღის წესრიგს;

7.6 დოქტორანტისა და ოფიციალური რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე, საბჭოს წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბჭო თავმჯდომარის წინადადებით;

7.7. სხდომის მდივანი აცხადებს დოქტორანტის ვინაობას, მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტანტის მიერ გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების და წინასწარი დაცვის შედეგებს, დისერტაციის თემასა და ოფიციალური რეცენზენტების ვინაობას, საბჭოს წევრებს აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და დისერტაციის დაცვის პროცედურას;

7.8 სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს, ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებს და კითხულობს დასკვნებს;

7.9 დოქტორანტი პასუხობს საბჭოს წევრებისა და დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე საბჭოს გააცნობს დისერტაციაზე გამოხმაურებებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იწყება ოფიციალური რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელებს დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საბჭოს წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს;

7.10 დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები;

7.11. დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება აუდიო/ვიდეო ტექნიკური საშუალებებით, ჩაიწერება კომპაქტდისკზე და შეინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

7.12 არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

7.13 დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი.

7.14 ერთ საბჭოს სხდომაზე ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ორი დისერტაციის დაცვა.
7.15 სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ენა არის ქართული.
7.16 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დოქტორანტს აცნობს ზეპირად.
7.17 დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ დოქტორანტი დისერტაციის დაცვის შედეგად, სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, იღებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს შესაბამისი მიმართულებით თუ:

ა) განახორციელა ორიგინალური კვლევა და მოამზადა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც შეიცავს თეორიული ან/და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში;
ბ) კვლევის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულია არა ნაკლებ სამი პუბლიკაცია რეფერირებად ჟურნალში, მონაწილეობა აქვს მიღებული მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში (მომხსენებელი).
გ) შეუძლია კოლეგებთან და სამეცნიერო საზოგადოებასთან ადეკვატურ დონეზე კომუნიკაცია საკვლევ მეცნიერულ სფეროში;
დ) წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.
ე) შესრულებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა და პროგრამიდან გამომდინარე დაგროვილი აქვს სასწავლო კომპონენტის არაუმეტეს 60 კრედიტი.

7.18 დოქტორანტურის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი პროდუქტები უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის ნაწილია.

მუხლი 8. დოქტორანტის მიღწევების შეფასება.

8.1.დოქტორანტის მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე.

8.2. დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს;

8.3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა;

8.3. 1 შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი. დოკუმენტური მასალის შეუსრულებლობის ან დროულად ჩაუბარებლობისას სტუდენტს უფორმდებაშეფასება F – 0 ქულა და მას ეს სასწავლო კომპონენტი ხელახლააქვს გასავლელი;

8.3.2 სტუდენტის სასწავლო კომპონენტების საბოლოო შეფასება განხორციელდება თესაუ-ს დადგენილი წესით.

8.3.3 სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები;

8.3.4 დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), სადისერტაციო საბჭოში წარადგინა საჭირო დოკუმენტაცია. (მუხლი 6. 2.4- 6.2.5)

8.4 კოლოქვიუმის მომზადება

8.4.1.თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დოქტორანტს ევალება კოლოქვიუმის მომზადება და წარდგენა დეპარტამენტში. კოლოქვიუმი უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.
8.4.2. კოლოქვიუმის წარდგენის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება;
8.4.3. კოლოქვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოქვიუმის წარდგენის დროს დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი (კვლევის ხარისხი), ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გააკეთოს დასკვნები და განსაზღვროს მუშაობის შემდგომი მსვლელობა;

წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი;

8.4.4. კოლოქვიუმის მოცულობა უნდა იყოსა რანაკლებ 30 გვერდისა დანართების გარეშე (თითოეულის) ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10 თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი (ზომა 14). ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ანგარიშს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;

8.4.5. დოქტორანტის მუშაობა კოლოქვიუმის მოსამზადებლად ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის ,,ონლაინ" რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

8.4.6. კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებული შედეგები წარედგინება დეპარტამენტს კოლოქვიუმის სახით, მათი პრეზენტაციის მიზნით. დეკანი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით ქმნის 3-5 წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდნენ დარგის აკადემიური პერსონალი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (20–25 წუთი);

8.4.7. შესრულებული სამუშაოს მოსმენის შემდეგ კომისია აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს. კომისიის რეკომენდაციების შემდეგ დოქტორანტი აგრძელებს სწავლას ან განმეორებით წარადგენს კოლოქვიუმსს არსებული წესის შესაბამისად.

8.5. დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორანტის საქმის (დოკუმენტაციის) შენახვა ხდება თესაუ-ს დადგენილი შესაბამისი წესით, რომელშიც შედის:

ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზით დადასტურებული დოქტორანტის განცხადება დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;

ბ) საბჭოს კომისიის დასკვნა დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ;

გ) საბჭოს ოქმის ამონაწერები;

დ) დისერტაციისა და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარი და მათი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში);

ე) დოქტორანტის ბიოგრაფიული ცნობები (CV),

ვ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (საჭიროების შემთხვევაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, გაცემული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ);

ზ) სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დახასიათება;

თ) სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების ფურცელი, აგრეთვე, კოლოქვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის და საბოლოო დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის უწყისების ასლები;
ი) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომების, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები, გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (ასლები) და მათი სია დამოწმებული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და ფაკულტეტის ბეჭდით;
კ) ოფიციალური რეცენზენტების დასკვნები;
ლ) შეფასების კომისიის ოქმი;
მ) დისერტაციის დაცვის ოქმი დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;
ნ) დოქტორანტის სააღრიცხვო ბარათი დამოწმებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;
ო) დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

8.6 მყარ საქაღალდეში აკინძული დოკუმენტაცია დეკანატში ინახება ოთხი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭო

9.1 სადისრტაციო საბჭოს სტრუქტურა და ფუნქციები

9.1.1 სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

9.1.2. სადისერტაციო საბჭო შედგება თესაუ-ს აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპრციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან.
9.1.3.სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა უმრავლესობა.
9.1.4 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს სადისერტაციო საბჭო 4 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით.
9.1.5 სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავისი შემადგენლობიდან ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით 4 წლის ვადით.
9.1.6 სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის საფუძველია საბჭოს წევრის უპასუხისმგებლობა, საბჭოს სხდომების ხშირი გაცდენები, აგრეთვე აკადემიური თანამდებობის დაკავება/დაკარგვა ან ისეთი ვითარება, როდესაც საბჭოს წევრს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება.

9.2 კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) შეფასება

ა) სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე გამოყოფს 7-9 წევრისაგან შემდგარ კოლეგიას, რომელშიც შედის: სამი რეცენზენტი, დოქტორანტის ხელმძღვანელი და/ან თანახელმძღვანელი და დარგის სპეციალისტები (რომელებიც შეიძლება იყვნენ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები ან/და მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები იმ დარგში სადაც ხდება დისერტაციის დაცვა).

ბ) კოლეგიის წევრებმა პროცედურაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პერსონალურად. დაუშვებელია შეფასების უფლების გადაცემა სხვა პირზე.

გ) დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. (იხ. მუხლი 5-ის 7.6) "ა"-"ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დადებითი შეფასების მიღებისას, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

დ) დისერტაციის დაცვაზე „არადამაკმაყოფილებელი" შეფასების მიღებისას, დოქტორანტს აქვს ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. მითითებული შეფასების მიღებისას დოქტორანტმა დაცვიდან ერთი კვირის განმავლობაში განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სემესტრის დამატების თხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. თუ მან უკვე ისარგებლა ორი სემესტრის დამატების უფლებით, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

ე) კოლეგიის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

ვ) კოლეგიის ოქმის დამტკიცების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე საბოლოო გადაწყვეტილებას აცნობს დისერტანტს და აუდიტორიას;

დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მზადდება რექტორის ბრძანება დოქტორანტისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ.

მუხლი 10. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

10.1 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა უმრავლესობა.

10.2 საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. სადისერტაციო საბჭოს მიერ წარმოებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი მოწმდება ფაკულტეტის ბეჭდით.

10.3 სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს სადისერტაციო თემის მოცულობას, ფორმატს, შრიფტის ზომასა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს.

10.4 სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის დამტკიცების შესახებ.
10.5 საბჭო უფლებამოსილია შეიკრიბოს საბჭოს წევრთა 2/3 -ის მოთხოვნით;

მუხლი 11. ბათილობა

სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა ან პლაგიატი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაუცემლობის ან გაუქმების საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 12. მობილობა დოქტორანტურაში

12.1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.

12.2. მობილობა ტარდება თესაუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის შესაბამისად;

12.3. დოქტორანტურაში მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა თესაუ-ს სადოქტორო პროგრამასთან;

14.4. სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის არსებობის დროს აგრეთვე მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები, პროექტები და ა.შ).

12.5. სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ სადოქტორო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების აღიარებას, აგრეთვე ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა დგინდება თესაუ-ში არსებული წესის თანახმად, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზეც, უნივერსიტეტის რექტორის მიერ ხდება ბრძანების გამოცემა.

მუხლი 13. დებულების ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი # 1:

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დოქტორანტის სახელი, გვარი

დისერტაციის დასახელება

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის (0721.2.1) **აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სამეცნიერო ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები):

ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) სახელი გვარი

სამეცნიერო ხარისხი, წოდება

თელავი

20. . წ.

ავტორეფერატის კომპიუტერზე მომზადებისა და მისი სტამბური ბეჭდვის მოთხოვნები

1. საგამომცემლო მოთხოვნები:

შესრულების ენა: ავტორეფერატი უნდა იყოს სტამბური წესით დაბეჭდილი A5 ფორმატის მქონე ბროშურის სახით, მაღალი ხარისხის ქაღალდზე. ტექსტი უნდა იყოს მკაფიო, რედაქტირებული და სტილისტურად გამართული.

ავტორეფერატის ბოლო გვერდზე მითითებული უნდა იყოს საგამომცემლო რეკვიტიზები: სტამბის დასახელება, რედაქტორი, სტილისტი.

ავტორეფერატი უნდა შესრულდეს ორ ენაზე, ქართულზე და ინგლისურზე. ქართულ–ინგლისური ტექსტების იდენტურობზე პასუხისმგებელია დოქტორანტი. ორივე ტექსტი იბეჭდება ერთ ბროშურაში, ქართულ–ინგლისური თანამიმდევრობით.

2. მოცულობა:

ავტორეფერატის მოცულობა ქართულ ენაზე უნდა შეადგენდეს სადისერტაციო ნაშრომის მოცულობის 1/3-ს , ავტორეფერატი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ენაზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3. ავტორეფერატის მომზადება კომპიუტერზე:

ფურცლისზომა: ავტორეფერატის კომპიუტერული ტექსტი უნდა მომზადდეს A4 ფორმატზე, ვერტიკალური ორიენტაციით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.

მინდორი: მარცხენა მინდორი უნდა შეადგენდეს – 30მმ, დანარჩენი – 25მმ.

შრიფტი: ქართული ტექსტი უნდა შესრულდეს სტანდარტული შრიფტით– Sylfaen, შრიფტის ზომა –12. სათაურების შრიფტის ზომა და სატიტულო ფურცლის წარწერების ზომა შეიძლება იყოს 14 ან 16. სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1,5.

ინგლისური ტექსტი უნდა შესრულდეს Times New Roman – ით, იგივე ზომებში.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა იქნეს დანომრილი თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით. სატიტულო ფურცელი და მეორე გვერდი უნდაგაფორმდეს **დანართი 2.1-ის** და **დანართი 2.2**-ის შესაბამისად.

დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი იწერება ხელით და დასტურდება სადისერტაციო საბჭოს მდივნის ხელმოწერით.

4. **კომპიუტერზე გამობეჭდვა:**

ავტორეფერატის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ ან სხვა ანალოგიურ საბეჭდს აშუალებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბეჭდვის მაღალ ხარისხს.

ავტორეფერატის შინაარსი:

ავტორეფერატში ასახული უნდა იყოს: საკვლევი თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; მითითებული უნდა იყოს დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა; გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით; აგრეთვე, რეკომენდაციები და ზოგადი დასკვნები;

ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების და კვლევების ჩამონათვალი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია დისერტაციის თემატიკასთან და ასახულია სადისერტაციო ნაშრომში;

ავტორეფერატში უნდა იყოს ინფორმაცია ნაშრომის სხვადასხვა დონეზე წარდგინების (კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე და სხვ.) შესახებ;

დანართი 2.1.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დოქტორანტის სახელი, გვარი

დისერტაციის დასახელება

სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის (0721.1.1) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი

20. . წ.

დანართი 2.2.

სამუშაო შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი: _____

_____

რეცენზენტები_____

_____

_____

დაცვა შედგება 20____ წლის "_____" _____, _____ საათზე სსიპ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი _____ აუდიტორია _____

მისამართი:საქართველო, თელავი, 2200

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1
ტელ: +995 250 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება:

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე http://tesau.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს მდივანი _____